ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 248

ქ.თბილისი 26.12.2012 წ.

ერთი მხრივ, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის გიორგი მესტვირიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის იოსებ ქარსელაძე სახით (დირექტორის 2012 წლის 16 იანვრის N1/27 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილი პირი) „სახელმწიფო" შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:

1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: - ტალონური სისტემით საავტომობილო საწვავის რეგულარის (ოქტანობა არანაკლებ 91, მინიმუმ ევრო 3 სტანდარტი) შესყიდვა /09100000-CPV/ .

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 10197 (ათი ათას ას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი.

- ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
- ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის ერთი ლიტრი საწვავის ღირებულება (დისქაუნთის გათვალისწინებით) შეადგენს - 1.98 ლარი .

3. მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით შეადგენს: რეგულარის (ოქტანობა არანაკლებ 91, მინიმუმ ევრო 3 სტანდარტი) – 5150 ლიტრს.

4. უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ტალონების გადაცემის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე, მისი წარმოდგენიდან ორი დღის ვადაში.

5. საწვავის სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

6. ხელშკრულების მოქმედების ვადა: 2012 წლის 26 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

8. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან 2 ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ერთი - მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“
ქ. თეთრიწყარო თამარ მეფის 34	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ქ. N154
ს/ კოდი: 230869254	ს/ კოდი: 404391136
ა/ა GE02LB0120116397860000	ა/ა GE62BG0000000876831000
ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი“	სს „საქართველოს ბანკი“-ს ც/ფ
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
გ. მესტვირიშვილი	ი. ქარსელაძე